ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6319690

ნომერი: AR1945231

თარიღი : 21.01.2023

გაცემის თარიღი : 08.02.2023

გაცნობის თარიღი : 08.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 21 იანვარს №AR1945231 განცხადებით მომართა კობა მოდრეკილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 08

დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებით №01.72.14.009.687 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261199 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 23 დეკემბრიდან 2025 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 7321.9 კვ.მ-ის ნაცვლად 7239.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 889.1 კვ.მ-ის ნაცვლად 890.8 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2306.3 კვ.მ-ის ნაცვლად 2038.4 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1672.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1600.2 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 13192.9 კვ.მ-ის ნაცვლად 12772.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელს, ასევე, სურს სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსასდგომების ფართობი 413.3 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე მდებარეობს 27 ავტოსადგომი რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 413.3 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 12772.1 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 7239.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 890.8 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2038.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1600.2 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსასდგომების ფართობი 413.3 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები და გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით და გენ-გეგმით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.